სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2012 წლის 29 მაისს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *ბუედოვი ხორვატიის წინააღმდეგ – განაცხადი №42150/09*

აპლიკანტი სტანა ბუედოვი ხორვატიის მოქალაქეა, დაიბადა 1933 წელს და ცხოვრობს ზადარში (ხორვატია). კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩივის 2006 წელს მისი ბინიდან გამოსახლების თაობაზე, რომელშიც ის 20 წლის მანძილზე ცხოვრობდა. განმცხადებელი ჩივის, რომ მთავრობამ არ გაითვალისწინა მისი მოხუცებული ასაკი და სუსტი ჯანმრთელობა და არც ის, რომ არსად წასასვლელი მას არ ჰქონდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 2.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 6.150 ევროს გადახადა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *იულინი ესტონეთის წინააღმდეგ – განაცხადები №№16563/08, 40841/08, 8192/10 და 18656/10*

აპლიკანტი ვიაჩესლავ იულინი ესტონეთის მოქალაქეა, დაიბადა 1981 წელს და დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ტალინში. ამჟამად იგი ციხეშია და სასჯელს იხდის. მისი საქმე ეხება განაცხადს იმის თაობაზე, რომ 2009 წელს ციხის თანამშრომლების მიერ მის მიმართ გახორციელდა არაადამიანური მოპყრობა, კერძოდ საკანის შემოწმებისას იგი ხელბორკილებით დააბეს და დამამცირებელი ფორმით გაჩხრიკეს. იმის გამო, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო სასამართლო ბაჟის გადახდა, მას არ მიეცა სასამართლოსადმი მიმართვის საშუალება, რათა გაესაჩივრებინა თავისი მდგომარეობა საპატიმროში. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-8 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და მე-6 მუხლის I ნაწილი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 10.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *ანა პაველი რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №4503/06*

აპლიკანტი ანა პაველი რუმინეთის მოქალაქეა, დაიბადა 1936 წელს და ცხოვრობს ვოლუნტარში. 2010 წლის 16 მარტის განჩინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მისი განაცხადის განხილვისას კონვენციის მე-6 მუხლისა პირველი ოქმის I მუხლის მოთხოვნები მიჩნეულ იქნა დარღვეულად, რადგან მის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება არ მოხდა. ვინაიდან, განმცხადებელმა მიიღო სამართლიანი დაკმაყოფილებით გათვალისწინებული კომპენსაცია, მან გადაწყვიტა აღარ გააგრძელოს დავა სასამართლოში. შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვიტა ამორიცხოს აღნიშნული განაცხადი განსახილველ საქმეთა სიიდან.

- *სუსლოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №2366/07*

აპლიკანტი ედუარდ სუსლოვი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1969 წელს და დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ქალაქ რიაზანში. განმცხადებელი ბრალდებულად სცნო სასამართლომ ბანდიტიზმში, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის ჩადენაში, ყაჩაღობასა და თაღლითობაში. კონვენციის მე-5 მუხლის I და III ნაწილებზე დაყრდნობით იგი ჩივის, რომ უკანონოდ დააპატიმრეს და მისი წინასწარი პატიმრობის ვადა იყო საკმაოდ ხანგრძლივი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I და III ნაწილები. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 15.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *ვალერი კოვალენკო რუსეთის წინააღმდეგ – განაცადი №41716/08*

აპლიკანტი ვალერი კოვალენკო რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1965 წელს და ამჟამად სასჯელს იხდის ფართო მასშტაბიანი თაღლითობის ჩადენის გამო ულიანოვსკის რეგიონში არსებულ ციხეში. კონვენციის მე-5 მუხლზე დაყრდნობით იგი ჩივის, რომ მისი წინასწარი პატიმრობის ვადა, რომელიც 2006 წლის ივნისიდან 2009 წლის ივლისამდე გაგრძელდა იყო საკმაოდ ხანგრძლივი, დაუსაბუთებელი და ბრალდების ნაწილი იყო არასამართლიანი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 3.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების შესახებ</u>

- ***Ogražden Ad** იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ – განაცხადები №№ 35630/04, 53442/07 და 42580/09*

აღნიშნულ საქმეზე განმცხადებლები ჩივიან, რომ მათი სამოქალაქო საქმის განხილვა მიმდინარეობდა გაჭიანურებით, რაც მათი აზრით წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილიდა მე-13 მუხლი.